




2025 წლის მშპ-ის პროგნოზი: საქართველოს ეკონომიკური ზრდის მოლოდინები ძლიერი, მიუხედავად გარე და შიდა წნეხისა

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)




ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზის მიხედვით, მაისის მონაცემების საფუძველზე, 2025 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკა **8.2%-ით**, ხოლო მესამე კვარტალში – **6.5%-ით** გაიზრდება. 2025 წელს წლიური ზრდა, ცუდი სცენარის შემთხვევაში **6%** იქნება, საუკეთესო და საშუალო გრძელვადიანი სცენარის შემთხვევაში – **7.6%**. ჩვენი საშუალო სცენარით, ბოლო ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის საფუძველზე, რეალური მშპ **7.1%-ით** გაიზრდება.




მონეტარული ინდიკატორებიდან, **2025 წლის აპრილში ეროვნული ვალუტის დეპოზიტები წლიურად 3.3-ით გაიზარდა**, რაც ქვეყნის საფინანსო სექტორის ლიკვიდურობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ამის საპირისპიროდ, **უცხოური ვალუტის დეპოზიტები 18.9%-ით გაიზარდა (FC_DEPTOT)**, ეს დეპოზიტების დოლარიზაციის ზრდაზე მიუთითებს, რაც უარყოფითად აისახა ჩვენს პროგნოზზე. **M2 აგრეგატი წლიურად 8%-ით გაიზარდა**, რაც დადებითად აისახა პროგნოზზე და ნიშნავს, რომ მონეტარული პირობები ხელსაყრელია და მოთხოვნის მხარეს დინამიკა გაზრდილია (მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტემპი უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება). **2025 წლის 7 მაისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-ზე დატოვა**, რაც მიანიშნებს, რომ ბანკი სიფრთხილეს იჩენს მზარდი ინფლაციური წნეხისა და მაღალი მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის ფონზე.

2025 წლის აპრილში, **ექსპორტი 41.1%-ით გაიზარდა**, **იმპორტი კი 3.6%-ით შემცირდა**, რამაც **სავაჭრო დეფიციტი 23%-ით შეამცირა**. ექსპორტის ზრდა, რაც მეტწილად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ზრდით იყო გამოწვეული, დადებითად აისახა მშპ-ის პროგნოზზე, რადგან წმინდა ექსპორტი გაიზარდა, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ უწყობს ხელს ეკონომიკურ აქტივობას. თუმცა რეექსპორტზე დამოკიდებულება მცირე დამატებულ ღირებულებას ქმნის და შეიძლება მდგრად ეკონომიკურ განვითარებასაც არ უწყობდეს ხელს.

2025 წლის აპრილში, ქართულ ლართან მიმართებაში ევრო (EUR) 5.0%-ით, ხოლო რუსული რუბლი (RUB) – 2.1%-ით გამყარდა. საპირისპირო დინამიკა ჰქონდა აშშ დოლარსა (USD), და თურქულ ლირას (TRY), რომლებიც 0.6% და 1.6%-ით გაუფასურდა ქართულ ლართან მიმართებაში. ასეთი დინამიკის მიუხედავად, მოდელი აფასებს, რომ სავალუტო კურსის დინამიკა უარყოფითად აისახა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე. ამავდროულად, ოფიციალური სარეზერვო აქტივები 207 მლნ აშშ დოლარით (4.8%) გაიზარდა, რაც გარე ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.



2025 წლის აპრილის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 3.4%-ს შეადგენდა, რაც კვლავ ახლოს არის ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელთან და ასახავს შედარებით სტაბილურ საფასო გარემოს. ამავდროულად, Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 24.2%-ით, რამაც შეამსუბუქა გლობალური საფასო წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციას არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.